

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შიდა
აუდიტის სამსახურის ანგარიში
2016 წელი ბიუჯეტის შესრულების შესახებ

შინაარსი

1. ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები.....	3
2. ზოგადი შეფასება	3
3. 2016 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები	4
4. შემოსავლების შესახებ.....	9

1. ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები

ანგარიში მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად. დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2015 წლის 30 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათით N4995/03 წარმოდგენილი იყო სამეურვეო საბჭოსთვის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი დასამტკიცებლად.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2015 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება N326 (ოქმი N308); – „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მიღებულ იქნა და დამტკიცდა 2016 წლის ბიუჯეტი. ამავე წლის 18 აგვისტოს გენერალური დირექტორის მიერ წარმოდგენილ იქნა სამსახურებრივი ბარათი N3766/03 ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ. 2016 წლის 26 აგვისტოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით N344 (ოქმი N324) განხორციელდა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და შესაბამისად დამტკიცდა კორექტირებული ბიუჯეტი.

2. ზოგადი შეფასება

შიდა აუდიტის დეპარტამენტის შეფასებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მომზადებულია მოქმედი მაუწყებლობის შესახებ კანონის დაცვით.

3. 2016 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

სსიპ "საზოგადოებრივი უწყებლის" 2016 წლის ბიუჯეტი	დამტკიცებული ბიუჯეტი 2016 წელი		კორექტირებული ბიუჯეტი 2016 წელი				სულჯამურის სხვაობა	ათვისებული (ფაქტიური) ბიუჯეტი 2016 წელი				შესრულება %	
	ხაზინა	ბანკი	ხაზინაკორექტირებული	ბანკიკორექტირებული	სხვაობაწარდგენილ ბიუჯეტს და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის	სხვაობაწარდგენილ ბიუჯეტს და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის		ხაზინაფაქტიური შესრულება	ბანკიფაქტიური შესრულება	სხვაობა კორექტირებულ ხაზინასა და ფაქტიურად შესრულებულ ხაზინას შორის	სხვაობა კორექტირებულ ბიუჯეტსა და ფაქტიურად შესრულებულ ბიუჯეტს შორის	ხაზინა	ბანკი
სამეურვეოსა და მონიტორინგის სამსახური	548,250	-	543,977	4,273	(4,273)	4,273	0	519,210	8,327	24,767	(4,054)	95%	195%
ახალი დამამდიანარეამბების ბლოკი	72,000	-	91,600	-	19,600	-	19,600	91,600	-	-	-	100%	0%
მულტიმედია	4,245,034	3,145,752	9,703,294	3,288,328	5,458,261	142,576	5,600,837	8,901,867	769,402	801,428	2,518,925	92%	23%
კრეატიული ბლოკი	4,969,099	308,706	4,062,428	218,629	(906,671)	(90,077)	(996,748)	4,367,677	170,279	(305,249)	48,350	108%	78%
წარმოებისა და ტექ. უზრუნველყოფის ბლოკი	10,303,817	984,151	5,365,378	817,001	(4,938,439)	(167,150)	(5,105,590)	5,507,189	556,272	(141,811)	260,728	103%	68%
ადმინისტრაციისა და აფინანსების ბლოკი	10,122,952	686,745	9,859,739	801,161	(263,212)	114,416	(148,797)	10,688,462	142,937	(828,723)	658,224	108%	18%
გადასახდლები	5,184,055	455,982	5,286,287	353,750	102,232	(102,232)	(0)	5,065,136	196,109	221,151	157,641	96%	55%
სულ:	2,039,793	219,059	2,572,296	317,253	532,503	98,194	630,697	2,728,392	136,720	(156,096)	180,533	106%	43%
სულ:	37,485,000	5,800,395	37,485,000	5,800,395	(0)	0	0	37,869,532	1,980,047	(384,533)	3,820,348	101%	34%



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2016 წლის გაწეული ხარჯების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2016 წლის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 37,839.0 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 1,980.0 ათასი ლარი, სულ 39,819.0 ათასი ლარი.

ხელფასების შესახებ

2016 წლის შრომის ანაზღაურების მიზნით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21,182.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 499.6 ათასი ლარი, სულ - 21,646.0 ათასი ლარი.

მივლინებების შესახებ

2016 წლის მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან სულ შეადგინა 1,251.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 40.1 ათასი ლარი, სულ - 1,291.5 ათასი ლარი.

სამეურვეო საბჭოს ხარჯების შესახებ

2016 წლის სამეურვეო საბჭოს საკასო ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან შეადგინა 471.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 8.3 ათასი ლარი, სულ - 479.5 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ჰონორარი - 372.2
- სხვა ხარჯები - 107.3

მონიტორინგის საბჭოს ხარჯების შესახებ

2016 წლის მონიტორინგის საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯულ იქნა 91.6 ათასი ლარი.

სხვა ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ

2016 წლის ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 2 091.8 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა 1 936.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 155.3 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:



- ელ. ენერჯია - 412.8ათასი ლარი;
- წყალი - 67.5 ათასი ლარი;
- ბუნებრივი აირი - 7.1 ათასი ლარი;
- დასუფთავება - 111.1 ათასი ლარი;
- საწვავსაპოხი მასალა (ბენზინი,დიზელი,ზეთი) – 229.6 ათასი ლარი;
- ავტომობილების დაზღვევა -15.2 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის შეკეთება - სათადარიგო ნაწილები - 176.6 ათასი ლარი;
- ავტოპარკის განახლება - 31.5 ათასი ლარი
- სატელეფონო ხარჯები (მობილური ტელეფონები) –79.5 ათასი ლარი;
- ხვა სატელეფონო ხარჯები -22.8 ათასი ლარი;
- ინტერნეტის ხარჯი - 76.5 ათასი ლარი
- საფოსტო მომსახურება - 1.5 ათასი ლარი;
- საკანცელარიო საქონელი - 15.2 ათასი ლარი;
- აუდიტორული მომსახურება - 30.1 ათასი ლარი;
- მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - 43.2 ათასი ლარი;
- დაცვის ხარჯები -215.4 ათასი ლარი;
- თანამშრომლთა დაზღვევის ხარჯი - 331.1 ათასი ლარი;
- ფართის ქინავნობა/სხვა იჯარა - 5.8 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 7.8 ათასი ლარი;
- სასამართლი/ბაჟი - 15.4 ათასი ლარი;
- სანოტარო სათარჯიმნო მომსახურება - 6.1 ათასი ლარი.
- ჟურნალ გაზეთები - 16.6 ათასი ლარი.
- ოფისის ხარჯები - 38.1 ათასი ლარი.
- სხვა ხარჯები - 135.3 ათასი ლარი.



მარკეტინგის ხარჯების შესახებ

2016 წლის მარკეტინგის ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 272.3 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯულ იქნა - 242.8 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 29.5 ათასი ლარი.

- სოციალური კვლევები - 151.2 ათასი ლარი;
- გარე რეკლამის ხარჯი - 103.8 ათასი ლარი
- სხვა მარკეტინგის ხარჯები - 17.3 ათასი ლარი;

პროდიუსინგის ხარჯების შესახებ

მაუწყებლის მიერ 2016 წლის სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან დახარჯული იქნა 5,939.3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 516.2 ათასი ლარი. სულ მიიმართა -6,455.5 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯების ძირითად ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩართვებისა და ინფორმაციის გადმოგორება – 391.8 ათასი ლარი;
- სპორტული გადაცემებისა და ჩემპიონატის ჩვენების უფლებები - 3,126.4 ათასი ლარი;
- ქართული ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 47.4 ათასი ლარი;
- უცხოური ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 1,968.8 ათასი ლარი;
- ევროვიზიის ჩვენებასთან დაკავშირებული ხარჯები - 200.9 ათასი ლარი;
- ახალი სეზონი, ახალი წლის ხარჯი - 41.8 ათასი ლარი;
- მიმდინარე გადაცემების ხარჯები - 302.9 ათასი ლარი
- დეკორაციების შესყიდვა - 177.2 ათასი ლარი;
- გადაცემის შესყიდვა (რადიო თავისუფალი ევროპა) – 131.7 ათასი ლარი
- რეგიონალური მაუწყებლობა - 23.6 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საპროდიუსინგო ხარჯები - 43.0 ათასი ლარი;

საინფორმაციო სამსახურის ხარჯების შესახებ

მაუწყებლის მიერ 2016 წლის საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 478.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 565.3 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1,043.5 ათასი ლარი.



მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სატელიტური ჩართვებისა და საინფორმაციო მასალების გადმოგორების 295.6 ათასი ლარი;
- ინფორმაციის შექმნის ხარჯები - 184.8 ათასი ლარი;
- საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი - 460.3 ათასი ლარი
- შესყიდვების ხარჯი - 16.1 ათასი ლარი
- დეკორაციები - 54.1 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საინფორმაციო ხარჯები - 32.6 ათასი ლარი.
-

ტექნიკის ხარჯების შესახებ

მაუწყებლის მიერ 2016 წლის საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების ოდენობამ შეადგინა- 3,559.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 29.0 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 3,588.7 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 1,080.0 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურება 615.9 ათასი ლარი;
- ვებ მაუწყებლობა და სტრიმინგი - 168.0 ათასი ლარი;
- ტექნიკის ქირავნობა - 280.4 ათასი ლარი;
- ვიდეო დააუდიოტექნიკისსათადარიგონაწილები - 119.3 ათასი ლარი;
- კომპიუტერები - 224.5 ათასი ლარი;
- კამერები - 195.6 ათასი ლარი;
- ლიცენზირებული ანტივირუსი -16.0 ათასი ლარი;
- აუდიო მოწყობილობები, მიკროფონები და აქსესუარები - 4.6 ათასი ლარი;
- კომპიუტერის სათადარიგო ნაწილები – 90.7 ათასი ლარი
- კასეტები და ელემენტები - 181.9 ათასი ლარი
- ვიდეო მიქშერები და პლაზმა - 12.3 ათასი ლარი
- საფრენი აპარატის შესყიდვა - 60.9 ათასი ლარი
- სპეც განათება - 245.4 ათასი ლარი
- ნათურები და ფილტრები - 61.3 ათასი ლარი
- ელექტრო მასალები - 66.6 ათასი ლარი
- სხვა ტექნიკური ხარჯები - 165.3 ათასი ლარი.



სხვა გადასახდელების შესახებ

2016 წლის მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 2,685.9 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 136.7 ათასი ლარი. სულ დახარჯულ იქნა 2,822.6 ათასი ლარი.

მათ შორის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სახელმწიფო სესხის წინსწრებით სრული დაფარვა – 293.5 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევრო გადასახადი - 365.9 ათასი ლარი;
- მომსახურებაზე გადახდილი დღგ / უკუდაბეგვრის დღგ -1 595.4 ათასი ლარი;
- მიწის გადასახადი - 16.7 ათასი ლარი;
- ქონების გადასახადი - 1.0 ათასი ლარი;
- საავტორო უფლებები 100.8 ათასი ლარი
- 26 მაისის ღონისძიება - 318.4 ათასი ლარი
- ჩრდიო ატლანტიკური საბჭოს ვიზიტის გაშუქება - 36.4 ათასი ლარი
- სხვა საგადასახადო ხარჯი - 94.5 ათასი ლარი.

4. შემოსავლების შესახებ

2016 წლის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები გეგმიურზე გადაჭარბებით იქნა შესრულებული, კერძოდ, დაგეგმილი 3,009,823 ლარის ნაცვლად, მიღებულმა შემოსავალმა 193,906 ლარით მეტი შეადგინა, რის შედეგადაც მთლიანმა შემოსავალმა 3,203,729 ლარი შეადგინა:

- სარეკლამო შემოსავლები - 1,818,956 ლარი;
- იჯაროდან შემოსავლები - 645,564 ლარი;
- ტექნიკის გაქირავებიდან შემოსავლები - 101,121 ლარი;
- სხვადასხვა შემოსავლები - 638,087 ლარი.



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2016 წლის დაფინანსების თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის სახაზინო გეგმის მიხედვით შეადგენდა 37,485,000ლარს, ფაქტიურად საბიუჯეტო დაფინანსებიდან გაიხარჯა 37,869,532ლარი, რამაც შეადგინა გეგმის 101%

2016 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვითი ნაწილის თანხა 5,800,395ლარის ოდენობით, ფაქტიურად კი გაიხარჯა 3,820,348 ლარით ნაკლები, რამაც შეადგინა გეგმის 34%, საერთო ჯამში - 1,980,047ლარი.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისთ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საბანკო ანგარიშზე რიცხულმა ფინანსური სახსრების ნაშთმა შეადგინა 4,144,518 ლარი. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

საწყისი ნაშთი 01.01.2016 2016 წლის ფაქტიური შემოსავალი 2016 წლის ფაქტიური ხარჯი ნაშთი 31.12.2016

2,920,524

3,203,729

(1,979,734)

4,144,518

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი

ნათია გამყრელიძე



საქართველოს
საზოგადოებრივი
მაუწყებელი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით